სსიპ-დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის

სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის

დ ე ბ უ ლ ე ბ ა

მუხლი 1. ზოგადი დებულებანი

1. სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის (შემდგომში - აკადემია) სტრუქტურული ერთეული -სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი (შემდგომში წარმოადგენს აკადემიის სტრუქტურულ ერთეულს.

2. ცენტრი თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს საქართველოს კანონმდებლობით, აკადემიის წესდებით, აკადემიის სამართლებრივი აქტებითა და წინამდებარე დებულებით.

3. ცენტრი თავისი კომპეტენციის ფარგლებში ანგარიშვალდებულია აკადემიის რექტორის წინაშე, ასრულებს კანონმდებლობით გათვალისწინებულ, რექტორის მიერ კანონის საფუძველზე დაკისრებულ მოვალეობებს.

მუხლი 2. ცენტრის მიზნები, ამოცანები და ფუნქციები

1. ცენტრის მიზანია, აკადემიის განვითარების სტრატეგიული გეგმის შესაბამისად, ხელი შეუწყოს აკადემიის სამეცნიერო-კვლევითი პოტენციალის ზრდას, სამეცნიერო კარიერის პრესტიჟის ამაღლებას, იუნკერთა თაობისათვის მეცნიერების პოპულარიზაციას, უცხოურ უნივერსიტეტებთან, სამეცნიერო ცენტრებთან კავშირის დამყარებას და არსებული კავშირების განვითარებას, ახალი სამეცნიერო კონტაქტების ჩამოყალიბებას.

2. ცენტრის ამოცანებია:

ა) ინოვაციურ ცოდნაზე, ხარისხსა და შედეგზე ორიენტირებული სამეცნიერო კვლევების განხორციელების, სამეცნიერო-კვლევითი და სასწავლო პროცესის ინტეგრაციის ხელშეწყობა;

ბ) დონორი ორგანიზაციების (ფონდები, კომპანიები და ა.შ.) მუშაობის პრინციპების და პრიორიტეტების შესახებ ინფორმაციის მოძიება; ახალი საგრანტო კონკურსების შესახებ პერმანენტულად ინფორმაციის მოძიება და აკადემიის პირადი შემადგენლობის საკონსულტაციო მომსახურება საგრანტო პროექტების მომზადება-განხორციელებისთვის;

გ) აკადემიის პირადი შემადგენლობისათვის სახელმწიფო და საერთაშორისო სამეცნიერო ფონდების მუშაობის სპეციფიკის, საკონკურსო პირობების გაცნობა და პროექტების მართვის საკითხებში კონსულტაციებისა და ტრენინგების ჩატარება;

დ) კონსულტაციებისა და ტრენინგების ორგანიზება მეცნიერების მართვის საკითხებში;

ე) სამეცნიერო კვლევების ხელშეწყობისა და პროექტების განხორციელების მიზნით, საქმიანი კონტაქტების დამყარება პარტნიორ ქვეყნებთან და უცხო ქვეყნების საგანანმანათლებლო დაწესებულებებთან;

ვ) საქართველოს სამეცნიერო წრეებთან ურთიერთობა, სამეცნიერო-კვლევითი კონფერენციების და სიმპოზიუმების ორგანიზება, იუნკერთა/მსმენელთა ჩართულობის უზრუნველყოფა, საერთაშორისო საგრანტო პროექტების მოძიება და მასში იუნკერთა/მსმენელთა ჩართვა/კოორდინაცია;

ზ) აკადემიურ პერსონალთან და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან მჭიდრო თანამშრომლობა საგანმანათლებლო პროგრამებისა და სილაბუსების დახვეწის/გაუმჯობესების მიზნით;

თ) სამეცნიერო-კვლევითი მიმართულებით აკადემიის თანამშრომლობის, იუნკერების და მსმენელების საერთაშორისო სივრცეში ინტეგრირების ხელშეწყობა;

ი) საერთაშორისო საგრანტო პროექტების მოძიება, მათში იუნკერთა/მსმენელთა ჩართვა და კოორდინაცია;

კ) იუნკერთა/მსმენელთა კვლევითი საქმიანობის მხარდაჭერა, ძირითად საგანმანათლებლო ერთეულებთან მჭიდრო თანამშრომლობით;

ლ) კვლევით საქმიანობასთან დაკავშირებით წინადადებების შემუშავება და აკადემიის ხელმძღვანელობისათვის წარდგენა;

მ) კომპეტენციის ფარგლებში კანონმდებლობით, ამ დებულებითა და რექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ სამართლებრივი აქტებით განსაზღვრული სხვა საქმიანობა.

3. ცენტრის ფუნქციებია:

ა) ცენტრის კომპეტენციის ფარგლებში სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობისა და ძირითადი საგანმანათლებლო და საგანმანათლებლო ერთეულების შესაბამისი სამსახურების მუშაობის კოორდინაცია;

ბ) ცენტრის კომპეტენციის ფარგლებში აკადემიის სახელით წარდგენილი, მიმდინარე თუ შესრულებული სამეცნიერო-კვლევითი საგრანტო პროექტების ადმინისტრირება და ხელშეწყობა;

გ) სამეცნიერო ფონდებთან და დონორ ორგანიზაციებთან ურთიერთობის კოორდინაცია;

დ) ცენტრის კომპეტენციის ფარგლებში, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან, ეროვნულ სამეცნიერო ფონდთან, საქართველოს თავდაცვის სამინისტროსთან და თავდაცვის ძალებთან ურთიერთობა;

ე) აკადემიის პირადი შემადგენლობის საკონსულტაციო მომსახურების უზრუნველყოფა სამეცნიერო ფონდების მოძიების, საგრანტო პროექტების მომზადების, პროექტების მართვის მიზნით;

ვ) სათანადო ანალიზის აკადემიის მართვის ორგანოებისთვის რეკომენდაციების მომზადება აკადემიის ბიუჯეტში სამეცნიერო კვლევების დაფინანსებისათვის გამოყოფილი სახსრების სავარაუდო განაწილების შესახებ;

ზ) ქართულ და უცხოურ უნივერსიტეტებთან, არასაუნივერსიტეტო სამეცნიერო ცენტრებთან განვითარებული სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ხელშეწყობა და კოორდინაცია;

თ) აკადემიის სტრუქტურული ერთეულებიდან სამეცნიერო-კვლევით საქმიანობასთან დაკავშირებული ნებისმიერი ინფორმაციის გამოთხოვა (მათ შორის, აკადემიის ბიუჯეტიდან დაფინანსებული სამეცნიერო შინაარსის მივლინებათა, მიმდინარე საგრანტო პროექტების შესახებ ინფორმაცია და სხვა);

ი) ცენტრის საქმიანობის წლიური ანგარიშის წარდგენა აკადემიის რექტორისათვის;

კ) აკადემიის პირადი შემადგენლობის, იუნკერებისა და მსმენელების კონსულტირება და მათთვის დახმარების გაწევა:

კ.ა) სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობისთვის დაფინანსების წყაროების მოძიებაში, საქართველოს და საერთაშორისო ორგანიზაციებთან, სახელმწიფო და კერძო სტრუქტურებთან კონტაქტების დამყარებაში;

კ.ბ) საგრანტო განაცხადის და განაცხადის ბიუჯეტის შედგენის და წინასწარი შემოწმების, დონორებთან/პარტნიორ-ორგანიზაციებთან მოლაპარაკებების წარმართვის და საქმიანი წერილობითი კომუნიკაციის დამყარების, დონორებისთვის/პარტნიორი-ორგანიზაციებისთვის/სხვ. ანგარიშე¬ბის მომზადების, წინასწარი შემოწმებისა და სწორად წარდგენის მიმართულებით, არსებული საჭიროებების და პრობლემების შესწავლა, გადაჭრის გზების დასახვა.

ლ) აკადემიაში მიმდინარე სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ანალიზისა და ყოველწლიური სამეცნიერო ანგარიშის მომზადება იმ სტრუქტურული ერთეულების მიერ მოწოდებული შესაბამისი ინფორმაციის საფუძველზე, რომლებიც ახორციელებენ სამეცნიერო საქმიანობას.

მუხლი 4. ცენტრის სტრუქტურა და ხელმძღვანელობა

1. ცენტრის სტრუქტურა ითვალისწინებს: ცენტრის ხელმძღვანელს, მთავარ მეცნიერებს, მთავარ რედაქტორს, სტატისტიკოსს, კვლევების განვითარების და პროექტების მართვის მენეჯერს და მთავარ სპეციალისტს.

2. ცენტრის ხელმძღვანელს რექტორის წარდგინებით თანამდებობაზე ნიშნავს და ათავისუფლებს საქართველოს თავდაცვის მინისტრი.

3. ცენტრის ხელმძღვანელი:

ა) ხელმძღვანელობს და წარმართავს ცენტრის საქმიანობას;

ბ) წარმოადგენს ცენტრს დაკისრებული უფლება-მოვალეობების განხორციელებისას და პასუხისმგებელია ცენტრზე დაკისრებული ფუნქციებისა და ამოცანების შესრულებაზე;

გ) ანაწილებს მოვალეობებს ცენტრის პირად შემადგენლობას შორის და აძლევს მათ მითითებებსა და დავალებებს;

დ) ზედამხედველობს ცენტრის პირადი შემადგენლობის მიერ თავიანთი სამსახურებრივი მოვალეობების ჯეროვან შესრულებას, ახორციელებს მათ მიერ აკადემიის შინაგანაწესის შესრულების კონტროლს;

ე) ხელს აწერს ცენტრში მომზადებულ დოკუმენტებს და თავისი კომპეტენციის ფარგლებში ახდენს აკადემიის სტრუქტურული ერთეულების მიერ შემუშავებულ სამართლებრივი აქტების პროექტების ვიზირებას;

ვ) წარადგენს ანგარიშს ცენტრის მიერ გაწეული საქმიანობის შესახებ ყოველწლიურად, აგრეთვე ნებისმიერ დროს რექტორის დავალებით;

ზ) ორგანიზებას უწევს ამ დებულებით ცენტრისათვის დაკისრებული ფუნქციების შესრულებას, რისთვისაც წარუდგენს რექტორს წინადადებებს ცალკეული საკითხების მოწესრიგებისა და გადაწყვეტის მიზნით;

თ) შუამდგომლობს იმ სახსრების, მოწყობილობებისა და ინვენტარის გამოყოფაზე, რაც აუცილებელია ცენტრის წინაშე მდგრადი ფუნქციებისა და ამოცანების შესასრულებლად;

ი) პერიოდულად ისმენს ცენტრის პირადი შემადგენლობის ანგარიშს მათ მიერ გაწეული მუშაობის შესახებ;

კ) ცენტრის საქმიანობასთან დაკავშირებით ასრულებს რექტორის სხვა დავალებებს.

მუხლი 5. დებულებაში ცვლილებების შეტანის წესი.

დებულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა ხორციელდება აკადემიის აკადემიური საბჭოს დადგენილებით.